

PRESS RELEASE

ინფორმაცია პრესისათვის

თბილისი, 2017 წლის 29 მარტი

კატასტროფაზე რეაგირების წვრთნები EU MOLDEX 2017 – ნაწილი 1: გადაწყვეტილების მიღება

ბუნებრივი კატასტროფა შეიძლება ნებისმიერ დროს და ადგილას მოხდეს. ყველაზე კარგად მომზადებულმა ქვეყანამაც კი შეიძლება აღმოაჩინოს, რომ სიტუაციასთან გასამკლავებლად საკუთარი რესურსი არ ჰყოფნის და სხვა ქვეყნების დახმარება სჭირდება. ევროკავშირმა შექმნა კატასტროფის დროს საერთაშორისო რეაგირების ხელშეწყობის მექანიზმი. 2017 წლის 28-29 მარტს, „გადაწყვეტილების მიღების სავარჯიშოს“ მეშვეობით ერთდროულად ევროკავშირის პარტნიორ ექვსივე ქვეყანაში, სამ წევრ-ქვეყანაში და ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის კატასტროფებზე რეაგირების კოორდინაციის ცენტრში განხორციელდა ამ მექანიზმის ტესტირება.

საერთაშორისო მასშვლთა ჯგუფების კატასტროფის ადგილზე ჩამოსვლის კადრებს ტელევიზორში ხშირად იხილავთ ხოლმე. ხოლო ინტენსიური საერთაშორისო კოორდინაცია, ინფორმაციის გაცვლა, ქვეყნის დედაქალაქში მიმდინარე მსჯელობა, რომელიც ჯგუფების გამოგზავნას წინ უსწრებს არის ის, რასაც სატელევიზიო ახალ ამბებში ვერასდროს ნახავთ. EU MOLDEX 2017-ის სახელით ცნობილი საერთაშორისო წვრთნების პირველი ნაწილის ფარგლებში, რომელიც ჩატარდა 2017 წლის 28-29 მარტს, შემოწმდა ეს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. წვრთნების დასაწყისში მონაწილეებს გაეზავნათ ინფორმაცია, რომ მოლდოვის ერთ-ერთ ნაწილში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მოლდოვის სამოქალაქო დაცვის და საგანგებო სიტუაციების სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭირო იყო საერთაშორისო დახმარება და ბრუსელში განლაგებულ ევროკავშირის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკოორდინაციო ცენტრს დახმარება თხოვა. ბრუსელი მომენტალურად დაუკავშირდა ამ სავარჯიშოში მონაწილე ქვეყნების დედაქალაქებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, საქართველო, რუმინეთი და უკრაინა). ამ ქვეყნებში გადაწყვეტილებების მიმღები უფლებამოსილი პირები მყისიერად შეიკრიბნენ თავიანთ ეროვნული კრიზისების მართვის ცენტრებში და დახმარების მოთხოვნა განიხილეს. მომზადდა და გაიგზავნა დახმარების შესახებ წინადადებები, რომელიც ბრუსელის კოორდინირებით მოლდოვას გადაეცა, ხოლო ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, თუ რომელი წინადადება მისთვის უფრო მისაღები იყო და შესაბამის ქვეყნებთან განიხილა მასპინძელი ქვეყნის დახმარებასთან დაკავშირებული საკითხები.

“2015 წლის ივნისში თბილისში მომხდარი წყალდიდობის დროს ჩვენ საერთაშორისო დახმარების შესახებ უამრავი წინადადება მივიღეთ”, - ამბობს ბატონი ზვიად ქაწაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიზისების მართვის სააგენტოს დირექტორი. და PPRD აღმოსავლეთი 2-ის მმართველი კომიტეტის წევრი. „საბედნიეროდ, ჩვენ დახმარების გარეშე გავართვით თავი, მაგრამ ვიგრძენით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კრიზისული სიტუაციის დროს საერთაშორისო დახმარების კოორდინირება. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ამ წვრთნებში მონაწილეობის შედეგად შესაძლებლობა მოგვეცა ევროკავშირის ეგიდით კრიზისული სიტუაციების კოორდინირების პროცესი გამოგვეცა და გვევარჯიშა“.

EU MOLDEX 2017 -წვრთნების მეორე ნაწილი ჩატარდება 2017 წლის სექტემბერში, როდესაც ხუთი პარტნიორი-ქვეყნიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო და უკრაინა) მასშვლთა ჯგუფები მოლდოვაში დასახმარებლად ჩავლენ, სადაც მათთან ერთად ევროკავშირის წევრი ქვეყნების (ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია და რუმინეთი) გუნდები იმოქმედებენ.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროგრამა - 2 (PPRD-2) მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მშვიდობის, სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის ხელშეწყობას. ამასთან, მისი ამოცანაა, დაიცვას გარემო, მოსახლეობა, კულტურული მემკვიდრეობა, რესურსები და რეგიონის ინფრასტრუქტურა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შემთხვევაში ქვეყნების მედეგობისა და მზადყოფნის გაზრდის გზით.

PPRD- 2 ხელს უწყობს კატასტროფის რისკის მართვის პოტენციალის გაძლიერებას ეროვნულ დონეზე სომხეთსა, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში და აგრეთვე მიმართულია პარტნიორ ქვეყნებს შორის რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერებასა და პარტნიორი ქვეყნების დაახლოებაზე ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან. პროგრამა განხორციელდება ოთხი წლის განმავლობაში. მისი ბიუჯეტი შეადგენს 5.5. მილიონ ევროს.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.pprdeast2.eu

ფართომასშტაბიანი საველე წვრთნები „EU MOLDEX 2017“: <http://pprdeast2.eu/en/civil-protection/full-scale-exercise-2/>



პროგრამა
დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

